ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 34/ბ

02 მარტი 2018 წელი

მცხეთა

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „არტ მეიკერი“ შემდგომში „მომწოდებელი” წარმოდგენილი მისი დირექტორის იაგო ჩხაიძის სახით , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით, გასამართ ღონისძიებისთვის საინფორმაციო პანელის (ბანერის) შესყიდვა. (CPV35200000)

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 08 მარტის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 325 (სამას ოცდახუთი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას;

4.1.1 განახორციელოს საქონლის მიწოდება ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით;

4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს და იცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყოდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს ხელშეკრულებით ნაკისრი ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი დარჩენილი ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ზურაბ ივანიშვილი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთასხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისიუფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „არტ მეიკერი"
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7	მის: ქ.თბილისი, ლაზოს ქ. N1
სახელმწიფო ხაზინა	სს „თი ბი სი" ბანკი
ხაზინის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ა/ნ GE43TB7393736080100005
ს/კ 236099789	ს/კ 402043472
ტელ: 2512696	ტელ: 577 78 03 05
მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე	დირექტორი იაგო ჩხაიძე

02.03. 2018 წ.

მცხეთა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. (შპს „არტ მეიკერი“ ს/კ 402043472 ხელშეკრულება N34/გ).

მცეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის და სპორტის
სამსახურის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

ზურაბ ივანიშვილი